ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2005839

ნომერი: AR1325143

თარიღი : 08.07.2015

გაცემის თარიღი : 14.07.2015

გაცნობის თარიღი : 16.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახა ხაინდრავა პ/ნ 01008039424
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 24

ორგანიზაცია:
- სეიტონი კოდი: 205023865

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 8 ივლისის#AR1325143 განცხადება, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.72.14.034.504 მიწის ნაკვეთზე ფაფის და ავტოსამრეცხაო ბოქსების მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით უნდა წარმოადგინოთ მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციის კაფის და ავტოსამრეცხაო ბოქსების ესკიზური ვარიანტი და ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში სადაც დაცული იქნება ჩაუხედავობის პრინციპი და ავტოსამრეცხაო ბოქსებთან მომსახურეობა არ აღიქმება მთავარი ქუჩის მხრიდან, ასევე უნდა წარმოადგინოთ გენგეგმა სადაც ნაჩვენები იქნება ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების შესვლა–გამოსვლა.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთზე გადის 900 დ–ნი წყლის მილი, გამომდინარე აქედან წარმოსადგენია შესაბამისი სამსახურიდან თანხმობა ჩასატარებელი სამშაოების შესახებ.

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტები ატვირთულ იქნეს დამატებითი დოკუმენტაციის ველში.

მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტებს წარმოადგენს ტოპოგრაფიული გეგმა – (ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილმასშტაბიანი (მ 1:10000 და ნაკლები) ნახაზი ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს), უნდა იყოს დამოწმებული ისე, რომ იძლეოდეს მისი განმახორციელებელი შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის ძირითადი და მათ შორის, პასუხისმგებელი სპეციალისტების იდენტიფიცირების საშუალებას. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის ველში (არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 *).

-

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.